პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 258 (19100) [redacted] შაბათი, 10 ნოემბერი, 1984 წელი. [redacted] ფასი 3 კაპ.

ოქტომბრის გზით — ახალი წარმატებებისაკენ

დიდი, სახალხო დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67 წლისთავი — ზეიმით აღნიშნეს საბჭოთა ადამიანებმა. [illegible]

[illegible]

ОО ПРАВДА
9 ნოემბრის მოწინავე

[illegible]

გრაფიკის გასწრებით

„მტკვარწყალმშენის" № 1 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი გრაფიკის გასწრებით ასრულებს ტირიფონის სარწყავი სისტემის მესამე რიგის რეკონსტრუქციის სამუშაოებს.

სურათებზე: „მტკვარწყალმშენის" ტრესტის მოწინავე მემონტაჟე, კომკავშირელი მევლუდ მარგველაშვილი; „მტკვარწყალმშენის" ტრესტის კომპლექტაციის საწარმოო-ტექნოლოგიური სამმართველოს მთავარი ინჟინერი დავით კაპანაძე მოწინავე მუშაკებთან გივი ჩოჩიშვილთან, ბაგრატ მათიაშვილთან და რევაზ ბოლოკაძესთან ერთად ამოწმებს ტირიფონის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციისათვის გასაგზავნი მილების იზოლაციის ხარისხს.

თ. ნაფიშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

[illegible]

მომავალი ხუთწლედის ანგარიშში

[illegible]

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მხატვარ თ. ხუციშვილის ნახატი.

მიზანია ადამიანებისათვის ზრუნვა

[illegible]

გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი

ხულო. მაღალი მთის აჭარის რაიონულ ცენტრში გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილ მიტინგზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე.

— ვლადიმერ ილიას ძე ლენინის — ჩვენი ეპოქის ყველაზე გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის სახელი, — თქვა მან, — საბჭოთა ადამიანებისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის [illegible]

ამხ. პაპუნიძე შეეხო საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე აჭარაში მომხდარ უდიდეს გარდაქმნებს, ავტონომიური რესპუბლიკის მაღალი მთის რაიონების მშრომელთა მიერ მოპოვებულ წარმატებებს. ეს არის ვლადიმერ ილიას ძის ანდერძის, დიდი ოქტომბრის იდეების თანმიმდევრული განხორციელების შედეგი.

ძეგლის ავტორები არიან მოქანდაკე ო. დარჩია და არქიტექტორი ო. შავაძე. (საქინფორმი).

თეთრი წყარო. (საკ. კორ. ჯ. ქურხული). 7 ნოემბერს დაბა მანგლისში გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი. ძეგლის ავტორია მოქანდაკე მ. ღონბაძე. ამ მოვლენასთან დაკავშირებით მანგლისში გაიმართა საზეიმო მიტინგი. იგი გახსნა [illegible]

მშრომელებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ ყვავილებით შეამკეს ძვირფასი ბელადის ძეგლი.

მათ კალენდარზეა 1985 წელი

„საქფოსტაიოის" საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავისა და სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდ გამარჯვებას მიაღწია. ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა ვადამდე შესრულდა. ოთხი წლის დავალების გადამეტებით დამზადდება 4200 ათასი მანეთის პროდუქცია. [illegible] ნაცვლად 30,8 პროცენტი შეადგინა. ახლდება პროდუქციის ასორტიმენტი. ხუთწლედის განვლილ პერიოდში გაერთიანებაში აითვისეს 17 სახეობის ნაწარმი.

[illegible]

გესაუბრებით სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატებზე

მთავარი მიმართულებებით

— სახელმწიფო პრემიის ლაურეატის სახელწოდება რამდენადმე [illegible]

[illegible]

აღმშენებლობის უშრეტი წყარო

ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერული კვლევის [illegible]

[illegible]

საუკუნის მხარდამხარ

სსრ კავშირის 1984 წლის სახელმწიფო პრემიის მინიჭება [illegible]

[illegible]

გამოვიდა ვ. ი. ლენინის რჩეულ თხზულებათა პირველი ტომი

გამოვიდა ვ. ი. ლენინის რჩეულ თხზულებათა 10-ტომეულის პირველი ტომი. გამოცემა მოიცავს ლენინის ყველაზე მნიშვნელოვან, უთვალსაჩინოეს ნაშრომებს და გათვალისწინებულია ფართო პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივის, სტუდენტებისა და ასპირანტების, ყველა მკითხველისათვის, რომლებიც ინტერესს იჩენენ ვ. ი. ლენინის იდეურ-თეორიული მემკვიდრეობის შესწავლისადმი.

ვ. ი. ლენინის რჩეულ თხზულებათა ათტომეულს, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა მოამზადა, ბეჭდავს გამომცემლობა. (საქტესი).

მთავარი მიმართულებებით

(დასასრული)

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა წარჩინებული მეფოლადის ა. ა. შევჩენკოს დამსახურება (ნოვოლიპეცკის ი. ვ. ანდროპოვის სახელობის მეტალურგიული კომბინატი). ალექსანდრე ანტონის ძის ბრიგადამ ძირითადი დავალების გადაჭარბებით გამოადნო 16 ათასი ტონა ფოლადი, დაზოგა 128 ტონა მანგანუმის შემცველი ფეროშენადნობი, 1028 ტონა პირობითი სათბობი.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა ლეონიდ ნიკოლოზის ძე გნევაშოვს, ციმბირის ხე-ტყის დამამზადებელი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების კომბინატის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს. მისმა კოლექტივმა ხუთწლედის სამ წელიწადში გეგმით გათვალისწინებული 434 ათასის ნაცვლად დაამზადა 696 ათასი კუბური მეტრი მერქანი.

აღმშენებლობის უშრეტი წყარო

(დასასრული)

საუკუნის მხარდამხარ

(დასასრული)

10 ნოემბერი საბჭოთა მილიციის დღეა

ერთგულების, წესრიგის მუშაკთა დიდი მოვალეობა

გურამ გვეტაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

ჭავინი დედაქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებზე, მოედნებზე, ქუჩებზე, მოედნებზე, ხალხთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის დიდ მუშაობას ეწევა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის პირადი შემადგენლობა. დღისით და ღამით, სიცხესა და სიცივეში ამ სამსახურის ოფიცრები და რიგითი მილიციელები გაბედულად ებრძვიან კანონდარღვევასა და, საერთოდ, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებს, ზრუნავენ იმისათვის, რომ მშრომელ ადამიანებს, მთელ მოსახლეობას შეუქმნან ცხოვრებისა და მუშაობის მშვიდი, ნორმალური პირობები.

სურათზე: თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის მუშაკები (მარცხნიდან) ლეიტენანტი ზ. იაკობაშვილი, რიგითები რ. ნადირაძე და დ. ენიაშვილი ქალაქში სამორიგეო გასვლის წინ.

ჯ. ლომაძის ფოტო.

დღესასწაულის გამო

მარადჟამს მზიანია კავშირი გულთა შორის!

ცხოვრების წვდომა — შემოქმედების დედააზრი

დღეს, 10 ნოემბერს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იწყება საბჭოთა ლიტერატურის დღეები, რომლის ორგანიზატორები არიან სსრ კავშირის, საქართველოს და აფხაზეთის მწერალთა კავშირები.

ძმური სიყვარულით გიმასპინძლებთ

გამარჯობა, აფხაზეთო!

სოხუმი: მთავრობის სახლი. — ვ. ჩერქასოვის ფოტო.

ლიტერატორთა დღესასწაული ხალხთა მეგობრობის დღესასწაულია

დღეს სოხუმში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება აფხაზეთში საბჭოთა ლიტერატურის დღეები, რომელსაც აწყობენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირები.

...

ოური ვორონოვი,
სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

...

შოთა ნიშნიანიძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის სახელობისა და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

...

მუშნი ლასურია,
აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

მობრძანდით, გელით!

ოჭამჩირე შემოდგომა დგას აფხაზეთში.

...

გენო კალანდია,
აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

თანამო-კალმეთა მეხვედრა

...

კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება, ჩვენო ძვირფასო თანამოკალმენო!

ივანე თარბა.

პოეტი მიდის, სიმღერა რჩება

დიმიტრი გულიას ძეგლის გახსნა თბილისში

მოდგება თეთრი ერცხვე რიდით,
ულამაზესი, ვით ალმასი,
პოეტი მიდის,
პოეტი მიდის,
როგორც ჭრილობა, სიმღერა რჩება.

ჩამოიქროლებს ქარი აშარი,
ქარო, ნუ წუხარ, კვლავ დავბრუნდები,
ვით მშობლიური ღელის თავშალი,
ერცხვეს შეენის თეთრი ღრუბლები.

ყველამ თავისი სავალი ძებნა,
მას ჭეშმარიტად ასე ენება,
ვინ ქვად ბრუნდება, ვინ კიდევ — ძეგლად,
ეს ძეგლიც არის და გაურთხილებაც.

იყო წუხილი და იყო ხინჯი,
ბოლოს სინათლით შემოსეს მთებმა,
პოეტი მიდის,
პოეტი მიდის,
ისე, ვით ფიცი, სიმღერა რჩება.

აღმოსავლეთის ცის მაცქერალი,
აღმოსავლეთით ქცეული ჭვრეტად,
მთაწმინდას თვალი ისევ შევავლოთ,
სად მას თავისი სანთელი ედგა.

ო, სიყვარული, ბევრჯერ ნაცადი,
შენა ხარ ჩემი ციხრის ამბორი,
ისევ სიმღერად ამოტკარცალდი,
და დავიხსომოთ, რასაც ამბობდი.

და დავიხსომოთ თრთოლვა ეხოდენ,
კოლხური მზის რომ მაგონებს ამბორს

და მტკიცედ გვწამდეს, მტკიცედ გვჯეროდეს,
რასაც ვაკეთებთ და რასაც ვამბობთ.

შენ გაძლეობა დაგყვა აბრსკილის
და ხიამყე სასრიყვა ნართას,
სიმღერით მიდის სიმღერის შვილი,
ღიღითბილისი აგებებს კალთას.

წინ ისევ გზაა, გზა უცნაური,
შეუძლებელი შენ მაინც შეძელ,
და დაიბატე ცა აქაური
და ოქროსფრთება არწივი მკერდზე.

და ყველა ტკივილს საშენოდ თვლიდი,
მეც შენი ცრემლი ვიგულე ჩემად,
პოეტი მიდის, პოეტი მიდის,
როგორც ანდერძი, სიმღერა რჩება.

ჯანო ჯანელიძე

შენ წილ რას ტოვებ წუთისოფელში

მისი ცხოვრება მაგალითია

თუ კაცმა ცხოვრების გზა სწორად აირჩია და დარწმუნებულია თავის არჩევანის სისწორეში, იცის რა უნდა აკეთოს, რას ემსახუროს, რატომ მოვიდა ამქვეყნად, ძალიან კარგია.

...

ბ. ანასაშვილი.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები
საკდესი იუწყება

დიდი სამამულოს ქრონიკები

აი რას წერდა გაზეთი „კომუნისტი“ 40 წლის წინათ

1944 წლის 1-9 ნოემბერი

● **გუშინ** მთელმა ჩვენმა ქვეყანამ მოისმინა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27 წლისთავისათვის. ამ უდიდეს პოლიტიკურ დოკუმენტში განსახიერებულია საბჭოთა ხალხის ურყევი ნებისყოფა და მტკიცე გადაწყვეტილება — მთელი ძალების დაძაბვით ბოლომდე იბრძოლოს ჰიტლერული გერმანიის სრული განადგურებისათვის.

● **კარელიის** ფრონტის ჯარებმა დაამთავრეს პეჩენგის (პეტსამოს) ოლქის სრული განთავისუფლება გერმანელ დამპყრობთაგან. ამ ბრძოლებში თავი გამოიჩინა აგრეთვე პოლკოვნიკ არშბას შენაერთმა.

● **სსრ კავშირის** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია დიპლომატიური წარმომადგენლებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლების ჯგუფი. ლენინის ორდენით დაჯილდოებულია ს. ი. ქავთარაძე.

● **ქალაქი** რიგა ცოცხლდება. ლიკვიდირებულია ხანძართა კერები. განაღმულია მთელი რიგი რაიონები. გერმანელთა განდევნის უკვე მეორე დღეს დაიწყეს პურის გამოცხობა. პირველსავე დღეებში შეაკეთეს და აამუშავეს წყალსადენი, გახსნილია მაღაზიები, საპარიკმახეროები, სასტუმროები. ქალაქში უკვე მუშაობს ბევრი საავადმყოფო, პოლიკლინიკა, აფთიაქი, სამშობიარო სახლი, ფოსტა... მალე გაიხსნება 30 სკოლა.

● **ლენინგრადში** სამი წლის შესვენების შემდეგ გაიხსნა სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის აღდგენილი მთავარი სამკითხველო დარბაზი.

● **თბილისის** მტს-მა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. ვაისრულებთ ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის ვადაზე ერთი თვით ადრე შესრულებას, აცხადებს თბილისის მტს-ს კოლექტივი.

● **თბილისი.** საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს. გთხოვთ გადასცეთ ჩემი მხურვალე სალამი და წითელი არმიის მადლობა საქართველოს სს რესპუბლიკის კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას, რომლებმაც შეაგროვეს 11.058.200 მანეთი საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიის „საქართველოს კომკავშირელის“ ასაგებად. ი. სტალინი.

● **სსრ კავშირის** სახელმწიფო ბანკის გამგეობამ და საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას მიანიჭეს „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საუკეთესო კანტორის“ სახელი, გარდამავალი წითელი დროშა და პრემია 250.000 მანეთი.

● **მოსკოვში** გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. მოხსენებით გამოვიდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი.

● **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარებმა უნგრეთის ტერიტორიაზე იერიშით დაიკავეს ქალაქი და დიდი რკინიგზის კვანძი სოლნოკი მდინარე ტისაზე.

სოციალისტურ ქვეყნებში

● გდრ

წლის დავალება — ვადამდე

ბერლინი. ლიდიქილიქის ელექტრონათურების კომბინატ „ნარვის“ კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ახალ წელს შეხვდეს — 21 დეკემბერს. ამ დროისათვის მისი მშრომელები მთლიანად შეასრულებენ წლის საწარმოო დავალებებს.

უპირველესი ყურადღება, აღნიშნა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში კომბინატის დირექტორმა ვ. მაიერმა, ეთმობა ახალი, სრულყოფილი ნაწარმის გამოშვებას. კომბინატის პროდუქცია მიმდინარე წელს გაიზარდა 25 პროცენტით. სიახლეთა შორისაა სხვადასხვა სიმძლავრის ნათურები, რომლებიც სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ქალაქის მაგისტრალების გასანათებლად. წელს „ნარვის“ კონვეიერიდან ჩამოვიდა 400 ათასზე მეტი ასეთი სანათი ხელსაწყო.

● უნგრეთი

წარმოება გაორკეცდა

ბუდაპეშტი. სულ ათი წელი დასჭირდათ უნგრელ მიწათმოქმედებს, რათა 1980 წლისათვის გაეორკეცებინათ ხორბლისა და სიმინდის წარმოება. მოსავლის ასეთი დინამიური ზრდა სოფლის მეურნეობის ფართო მექანიზაციის შედეგია.

ამ ამოცანის წარმატებით განხორციელება შესაძლებელი გახდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან თანამშრომლობით. უნგრეთის მრეწველობა კოოპერატივებისა და სახელმწიფო მეურნეობების მოთხოვნას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე მხოლოდ 45 პროცენტით აკმაყოფილებს. საჭირო მანქანების დანარჩენი ნაწილი უნგრეთს შემოაქვს საზღვარგარეთიდან, ძირითადად მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან.

ამ დარგში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავარი პარტნიორია საბჭოთა კავშირი.

● ჩეხოსლოვაკია

«სვიტის» მარკით

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის ქალაქ გოტვალდოვის სახელგანთქმულმა კომბინატმა „სვიტმა“ საბჭოთა კავშირს გაუგზავნა მეხუთხმილიონე წყვილი ფეხსაცმელი.

„სვიტის“ მარკიანი პროდუქციის თითქმის 90 ქვეყნის მრავალრიცხოვან შემკვეთთა შორის სსრ კავშირს წამყვანი პოზიცია უკავია. საკმარისია ითქვას, რომ ქარხნის კონვეიერიდან ყოველდღიურად ჩამოდის 100 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, რომელიც საბჭოთა მყიდველისათვისაა განკუთვნილი.

შემკვეთის სურვილების სრული დაკმაყოფილება აქ განუყოფელ ნაწილად იქცა მთელი საწარმოო ჯაჭვისათვის — მოდელიორის წინადადებით დაწყებული მზა პროდუქციის კონტროლიორის შტამპით დამთავრებული. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ „სვიტის“ სპეციალისტები ხშირად ჩამოდიან საბჭოთა კავშირში, სადაც ეცნობიან საბჭოთა ვაჭრობისა და მომხმარებლის მოთხოვნებს, სთავაზობენ შემკვეთებს ახალ მოდელებს.

● ინდოეთი

აღდგენილია სიმშვიდე და წესრიგი

დელი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ მიიღო ქვეყნის ცხრა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელები. მან მათ გააცნო გადაუდებელი ღონისძიებანი, რომლებსაც ახორციელებს მთავრობა იმ მიზნით, რომ დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში, სადაც მოხდა რეაქციის მიერ პროვოკაციულად გამოწვეული შეტაკებები რელიგიურ-თემობრივ ნიადაგზე, სასწრაფოდ მოწესრიგდეს ვითარება. რ. განდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთლიანად ქვეყანაში აღდგენილია სიმშვიდე და წესრიგი. მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა უზრუნველყოს დაზარალებული რაიონების მოსახლეობა ყოველივე აუცილებლით, უწინარეს ყოვლისა სურსათითა და ტანსაცმლით. გამოყოფილია აგრეთვე დიდძალი თანხა დაზარალებულთათვის ფინანსური დახმარების აღმოსაჩენად. პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ მთელი ქვეყნისათვის ამ ძნელ პერიოდში საჭიროა, რომ ყველა პოლიტიკურმა პარტიამ ერთად იმოქმედოს უწესრიგობის შედეგების ლიკვიდაციისა და რეაქციული ძალების ახალი გამოხდომების თავიდან აცილების მიზნით.

ინდოეთის სხვადასხვა რაიონიდან აქ მიღებული ცნობების თანახმად, ცხოვრება სწრაფად დგება ნორმალურ კალაპოტში. მუშაობა განაახლეს სამრეწველო საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ბანკებმა, სასწავლებლებმა, ტრანსპორტმა. გაიხსნა ბაზრები, მაღაზიები. როგორც იუნაიტედ ნიუს ოფ ინდიას საინფორმაციო სააგენტო იუწყება, პენჯაბის, ჰარიანას, რაჯასტჰანის, უტარ-პრადეშის, ბიჰარისა და მადიაპრადეშის შტატებში ვითარება უკანასკნელ დღეებში პირველად იყო მშვიდი.

● ინგლისი

კამათი პარლამენტში

ლონდონი. ბრიტანეთის პარლამენტში დაიწყო კამათი დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ მეორის სიტყვის გამო, რომლითაც 6 ნოემბერს გაიხსნა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მორიგი სესია. სიტყვაში, რომელსაც ტრადიციისამებრ მთავრობა ამზადებს, ჩამოყალიბებული იყო ტეტჩერის კონსერვატიული კაბინეტის მომავალი წლის პროგრამა როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის დარგებში.

კამათის პირველსავე დღეს თემთა პალატაში წამყვანი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა ტორის გეგმები მწვავედ გააკრიტიკეს მათში ისეთი კონსტრუქციული ღონისძიებების გაუთვალისწინებლობის გამო, რომლებიც ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკის ღრმა კრიზისიდან გამოყვანას. კონსერვატიული მთავრობის მიერ განხორციელებულ კურსს ინგლისელებისათვის უსამართლობა, სასოწარკვეთა და სიდუხჭირე მოაქვს, განაცხადა თავის გამოსვლაში ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა კინოკმა. ის, რასაც ტორის კაბინეტი აკეთებს, აღნიშნა მან, სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნის სამრეწველო ბაზის მოშლა, არსებული ეკონომიკური სიძნელეების კიდევ უფრო გამწვავება.

● ლიბანი

მოლაპარაკება დაიწყო

ბეირუთი. სამხრეთ ლიბანის ან-ნაკურის დასახლებულ პუნქტში დაიწყო ლიბან-ისრაელის სამხედრო მოლაპარაკება. როგორც ლიბანის პრემიერ-მინისტრმა რაშიდ კარამემ განაცხადა, ქვეყნის მთავრობამ მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პერეს დე კუელიარის წინადადება გაემართათ ეს მოლაპარაკება ლიბანსა და ისრაელს შორის დაზავების შესახებ 1949 წლის შეთანხმებისა და ლიბანის საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე, რათა შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს ისრაელის ჯარების გამოყვანას ლიბანის დაპყრობილი ტერიტორიებიდან.

● აშშ

არჩევნები დამთავრდა, რას აპირებენ შემდეგ?

ვაშინგტონი. 6 ნოემბერს გამართული არჩევნების შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად მეორე ვადით არჩეულია რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი რ. რეიგანი.

საგულისხმოა, რომ თუ 1980 წელს იგი საარჩევნო კამპანიას ეწეოდა აშკარად შოვინისტური, მილიტარისტული, ანტისაბჭოთა ლოზუნგებით, ახლანდელი კამპანიის დროს, განსაკუთრებით მის დასკვნით ეტაპზე, რეიგანი ამერიკელებს არწმუნებდა: მშვიდობის განმტკიცების, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის ვილწვით. ეს ტაქტიკა იყო იძულებითი პასუხი მილიონობით ამერიკელის განწყობილებაზე, რომლებიც გამოხატავენ მზარდ შეშფოთებას ვაშინგტონის ადმინისტრაციის პოლიტიკის შედეგად ბირთვული ომის საფრთხის გაძლიერების გამო.

გარკვეული როლი შეასრულა რეიგანის დაპირებამ, რომ არ გაზრდის გადასახადებს, „და კვლავაც განახორციელებს ქვეყნის ეკონომიკური და სოციური განახლების კურსს“. რესპუბლიკელებმა ურცხვად მიიწერეს დამსახურებად გარკვეული ციკლური აღმავლობა, რომელიც სამოცდაათიანი წლების დამლევისა და ოთხმოციანი წლების დამდეგის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ბუნებრივი გზით დადგა და რასაც ინფლაციის შემცირება მოჰყვა. ამ თემაზე დემაგოგიურმა რიტორიკამ შესაძლებლობა მისცათ მოსახლეობის ყურადღება ჩამოეცილებინათ ისეთი უმწვავესი ეკონომიკური და სოციალური პრობლემებისაგან, როგორიცაა 200 მილიარდ დოლარს მიახლოებული ფედერალური ბიუჯეტის უდიდესი დეფიციტისა და თითქმის ორი ტრილიონი სახელმწიფო ვალის არსებობა, უმუშევართა არმიის მაღალი დონე და 35 მილიონამდე იმ ამერიკელთა რიცხვის გაზრდა, რომლებიც ძალზე გაჭირვებულად ცხოვრობენ. ყველა ეს პრობლემა, ბუნებრივია, არ აღმოფხვრილა. მათ ხანგრძლივი ხასიათი აქვთ, და, როგორც იგივე ამერიკელი სპეციალისტები ლაპარაკობენ, მათ შეიძლება მოჰყვეს დამღუპველი შედეგები მთლიანად ეკონომიკისათვისაც და ამერიკელთა უმრავლესობის ყოველდღიური ცხოვრებისთვისაც.

მთავარი კითხვა, რომელსაც ახლა ბევრი პოლიტიკური მეთვალყურე სვამს, ის არის, იმოქმედებს თუ არა ახალი ადმინისტრაცია საკუთარი დაპირებების შესაბამისად? განამტკიცებს თუ არა მათ საქმეებით? ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკის სფეროს, ახალი ადმინისტრაციის წინაშე მაგიდაზე უკვე ძევს საბჭოთა კავშირის მიერ შეთავაზებული დღის წესრიგი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გამონახოს ერთობლივი რეალისტური მიდგომა ომისა და მშვიდობის საკითხებისადმი, რომლებიც გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვენ. და უწინარეს ყოვლისა — ეს არის აუცილებლობა ხელი შეუწყონ ბირთვული ომის საფრთხის შენელებას. ვაშინგტონს ხომ ხელს არავინ უშლის იკისროს ვალდებულება, როგორც ეს უკვე საბჭოთა კავშირმა ქნა, პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი, უარი თქვას ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ავანტიურაზე, — შექმნილი სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობის ხელყოფაზე, სამხედრო უპირატესობის მიღწევის ცდებზე.

პრობლემა ბევრია და ამასთან რთული. მაგრამ გამოცდილება მოწმობს, რომ მათდამი პოზიტიური, კონსტრუქციული მიდგომის დროს ამ პრობლემების გადაწყვეტა თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების საფუძველზე სავსებით შესაძლებელია, მით უმეტეს, რომ ასეთი გადაწყვეტა თანაბრად შეესაბამება არა მარტო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ მთლიანად მსოფლიოს ინტერესებს. იგი შეესაბამება თვით რეიგანის ადმინისტრაციის ინტერესებსაც. როგორც გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ მიმომხილველმა ჯ. კრაფტმა აღნიშნა, ამერიკელთა დამოკიდებულება მთავრობისადმი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, შეძლებს თუ არა პრეზიდენტი რეიგანი მოაგვაროს კონსტრუქციული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

ფოტოფაქტი

● გფრ

გრანდიოზული მანიფესტაცია

ბონი. „შევაჩეროთ ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგება!“ — ასეთი ლოზუნგით გაიმართა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მძლავრი ომისსაწინააღმდეგო გამოსვლები. ათიათასობით ადამიანი გამოვიდა დასავლეთ გერმანიის ქალაქების ქუჩებში, რათა განეცხადებინათ, რომ მზად არიან დაიცვან მშვიდობა და უშიშროება ევროპის კონტინენტზე.

ცენტრალური მოვლენა იყო მანიფესტაცია ხუნსრიუკის სამხედრო ბაზის რაიონში, სადაც დაგეგმილია მომაკვდინებელი ფრთოსანი რაკეტების განლაგება. ამ ბაზიდან რურის ქალაქ დუისბურგის შრომის ბირჟამდე 210 კილომეტრ მანძილზე მშვიდობის მომხრეებმა ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს. მანიფესტაციაში მონაწილეობდნენ მუშები და სტუდენტები, პროფკავშირული, ახალგაზრდული, ქალთა და ანტიფაშისტური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სურათზე: „ცოცხალი ჯაჭვის“ მონაწილენი.

აპ-საკდესის ფოტო.

● ნიკარაგუა

უარყოფენ სიყალბეს

მანაგუა. ნიკარაგუის ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელმა საბჭომ მიმართა ნიკარაგუელ ხალხსა და მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომელშიც აღნიშნულია ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყნის წინააღმდეგ შეერთებული შტატების პირდაპირი შეიარაღებული აგრესიის მზარდი საფრთხე.

შეერთებულ შტატებში არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე, ნათქვამია დოკუმენტში, პენტაგონმა და სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელეს ხმები იმის თაობაზე, თითქოს ნიკარაგუის ნავსადგურებს უახლოვდებოდნენ საბჭოთა საბრძოლო თვითმფრინავებით დატვირთული გემები. ამის გამო ნიკარაგუის მთავრობა აცხადებს: ცნობები იმის თაობაზე, თითქოს რომელიმე ქვეყნის საბრძოლო თვითმფრინავებით დატვირთული გემები ნიკარაგუაში მიემართებოდნენ ან უკვე დაეცალოთ ასეთი ტვირთი ნიკარაგუის ნავსადგურებში, მტკნარი სიცრუეა. ამერიკის ადმინისტრაციის ამ ყალბი მტკიცებების მიზანია მოამზადონ ნიადაგი შეიარაღებული თავდასხმისა და ნიკარაგუის ტერიტორიაზე ამერიკის ჯარების შეჭრისათვის, ნათქვამია დოკუმენტში.

ეროვნული აღორძინების მთავრობამ, რომელიც ითვალისწინებს მოვლენათა საშიშ განვითარებას, მოუწოდა ნიკარაგუელ ხალხს მზად იყოს სამშობლოს თავდაცვისათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად.

შემოდგომის მოტივები

ა. სააკოვის ფოტო.

ბალეტი გამოცდას ბრწყინვალედ აბარებს

8 ნოემბერს თბილისის საოპერო თეატრის საგასტროლო აფიშაზე გამოჩნდა წარწერა „დონ ჟუანი“ — საშეფო სპექტაკლი. იმ დღეს ჩვენი თანამემამულეები მოსკოვის გარნიზონის მეომრებს მასპინძლობდნენ. დიდი აღმაფრენით იმღერეს თავიანთი პარტიები მ. ამირანაშვილმა, ზ. ცისკარიძემ, ქ. კაპანაძემ, თ. დავითაშვილმა და სხვებმა. დირიჟორობდა ჯ. კახიძე, დამდგმელი რეჟისორი — მ. თუმანიშვილი, მხატვარი — ი. გეგეშიძე.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ სცენაზე ავიდნენ მოსკოვის გარნიზონის ოფიცრები და ჯარისკაცები. მათ ყვავილები მიართვეს ქართველ მსახიობებს. პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ მადლობა გადაუხადა ჩვენს თანამემამულეებს პროფესიული ოსტატობისათვის და თეატრის კოლექტივს სამახსოვრო ადრესი გადასცა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა თეატრის გენერალურმა დირექტორმა ზ. მახარაძემ.

— ჩვენთვის საამაყოა, — თქვა მან, — რომ თეატრმა თავისი ხელოვნება უძღვნა საბჭოთა ჯარისკაცებს — ქვეყნის მშვიდობის დამცველებს. თეატრის რეპერტუარში აქვს გ. ყანჩელის ოპერა „და არს მუსიკა“, რომელიც ომის, საყოველთაო ნგრევის და განადგურების წინააღმდეგ მიმართული მგზნებარე ნაწარმოებია. გთხოვთ მობრძანდეთ ამ სპექტაკლზე, ძვირფასო მეგობრებო!

უნდა ითქვას, რომ მოსკოველთა სითბოს, ყურადღებასა და სიყვარულს ქართველი მსახიობები ყოველი ფეხის ნაბიჯზე გრძნობენ. ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა საშეფო სპექტაკლის ჩვენებისას.

12 ნოემბერს თეატრის კოლექტივი კონცერტს გამართავს საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელთათვის, აგრეთვე დაგეგმილია ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებთან შეხვედრა.

მოსკოველებმა უკვე საბალეტო სპექტაკლსაც „გაუსინჯეს გემო“.

დიდი თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იყო ჯ. გერშვინის „პორგი და ბესი“, რომლის ლიბრეტო და დადგმა ეკუთვნის ჩვენი თეატრის მთავარ ბალეტმაისტერს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს მ. ლავროვსკის.

სპექტაკლში მთავარ პარტიებს ასრულებდნენ თვითონ მ. ლავროვსკი, ს. გოჩაშვილი, ნ. არობელიძე, ნ. მაღალაშვილი, თ. ვაშაკიძე, ჯ. ცხვედიანი, მ. გოდერძიშვილი. მხატვარია მ. მურვანიძე. სპექტაკლის შემდეგ ჩვენ ინტერვიუ ვთხოვეთ დიდი თეატრის სოლისტს, რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს ე. რიაბინკინას.

— გერშვინის მუსიკაში, — თქვა მან, — შეხამებულია მსუბუქი ჟანრის, ეგრეთ წოდებული ბროდვეის ესტრადისა და ევროპული მუსიკის კლასიკური ფორმები. კომპოზიტორის შემოქმედებას ახასიათებს გროტესკი, იუმორი, სატირის ფორმები. ეს ყველაფერი ჭარბად აქვს გამოყენებული თავის დადგმაში მ. ლავროვსკის და ბალეტის ნარნარი დინების დროს მაყურებელი ნათლად გრძნობს ამას. მე დიდი ხანია ლავროვსკის ნიჭის თაყვანისმცემელი ვარ, სპექტაკლი ბრწყინვალედ არის დადგმული. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მთელმა საბალეტო დასმა. გულით ვულოცავ წარმატებას ჩემს ქართველ კოლეგებს.

გუშინწინ დიდი თეატრის სცენაზე მ. ლავროვსკის ინტერპრეტაციით წარმოდგენილი იყო ს. პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“. მეორე განყოფილება დაეთმო პ. ჩაიკოვსკის „სერენადას“, რომლის ქორეოგრაფია ეკუთვნის ჯორჯ ბალანჩინს. აღსანიშნავია, რომ ასეთი რედაქციით ჩაიკოვსკის „სერენადა“ ჩვენს ქვეყანაში პირველად შესრულდა. „რომეო და ჯულიეტაში“ მთავარ პარტიებს ასრულებდნენ ნ. არობელიძე, ვლ. ჯულუხაძე, ნ. მაღალაშვილი, მ. მახარაძე, თ. ვაშაკიძე, გ. ძაროხოვი; დირიჟორი — ლ. ჰიაურელი, მხატვარი — მ. მურვანიძე. „სერენადაში“ მონაწილეობდნენ ნ. არობელიძე, თ. ვაშაკიძე, მ. გოდერძიშვილი, ს. გოჩაშვილი, ვლ. ჯულუხაძე. დირიჟორობდა ჯ. კახიძე. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. მოსკოველებმა და მოსკოვის მრავალრიცხოვანმა სტუმრებმა ყვავილებით მოფინეს დიდი თეატრის სცენა. სპექტაკლის შემდეგ ვესაუბრეთ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ვ. ლეპეშინსკაიას. აი რა გვითხრა მან:

— ლავროვსკების ოჯახთან წლების სითბო და სიყვარული მაკავშირებს. ამ ოჯახის უნიჭიერესი წარმომადგენლის მიხეილ ლავროვსკის დადგმულმა სპექტაკლებმა თითქოს ერთი ამოსუნთქვით ჩაიარა. თვითონ ხომ საუცხოო იყო პორგის როლში. რამდენი შემართება, უზადო ტექნიკა, გასაოცარი პლასტიკა და თქვენებური ქართული ტემპერამენტია მის ცეკვაში.

საბალეტო სპექტაკლებს ესწრებოდნენ ფინეთის ეროვნული ახალი ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელობა და იმპრესარიო. მათ მიულოცეს მ. ლავროვსკის და მთელ საბალეტო დასს დიდი და დამსახურებული წარმატება და გაისად თბილისის ოპერისა და ბალეტის საბალეტო დასი საგასტროლოდ მიიწვიეს ფინეთის ქალაქებში.

დ. მამაშარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მ. მოსკოვი.

ყაბახი

ფეხბურთის ამბები

მომდევნო წრეშიც ითამაშებენ

გაიმართა ევროპის [illegible] საკლუბო [illegible] მორიგი ტურის [illegible] მატჩები. [illegible] და მომდევნო წრეში თამაშის უფლება მოიპოვა. გთავაზობთ შედეგებს:

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი (მერვედფინალი) დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ - „ლევსკი-სპარტაკი“ (ბულგარეთი) — 2:0 (პირველი შეხვედრა — 1:3). „დნეპრთან“ ერთად მეოთხედფინალში გავიდნენ აგრეთვე „ლივერპული“ (ინგლისი), „ბორდო“ (საფრანგეთი), „იუვენტუსი“ (იტალია), „გეტებორგი“ (შვეცია), „ავსტრია“ (ავსტრია), „სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია) და „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი).

თასების მფლობელთა თასი (მერვედფინალი). „ჰამრუნ სპარტანსი“ (მალტა)-მოსკოვის „დინამო“ — 0:1 (პირველი შეხვედრა — 0:5). მოსკოველ დინამოელებთან ერთად მეოთხედფინალში ითამაშებენ „ბაიერნი“ (გფრ), „ევერტონი“ (ინგლისი), „სელტიკი“ (შოტლანდია), „რომა“ (იტალია), „ფორტუნა“ (ჰოლანდია), „ლარისა“ (საბერძნეთი) და „დინამო“ (დრეზდენი, გდრ).

უეფას თასი (მეთექვსმეტედფინალი). მოსკოვის „სპარტაკი“-„ლოკომოტივი“ (გდრ) — 2:0 (პირველი შეხვედრა — 1:1), მინსკის „დინამო“-„სპორტინგი“ (პორტუგალია) — 2:0; პენალტების სერიით 5:3 (პირველი შეხვედრა — 0:2). მოსკოვის „სპარტაკი“ და მინსკის „დინამო“ მომდევნო წრეში — მერვედფინალში ითამაშებენ. ამ ეტაპზე იასპარეზებენ აგრეთვე „ანდერლეხტი“ (ბელგია), „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია), „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) და სხვები. უეფას თასის გათამაშებაში მონაწილე კოლექტივები მერვედფინალურ მატჩებს გამართავენ 28 ნოემბერს და 12 დეკემბერს. რაც შეეხება ევროპის სამივე საკლუბო ტურნირების მეოთხედფინალურ მატჩებს, მათში მონაწილე გუნდების წილისყრა მოეწყობა 14 დეკემბერს. ყველა მეოთხედფინალური მატჩი გაიმართება 1985 წლის გაზაფხულზე.

ორი მატჩი

გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ორი მორიგი კალენდარული მატჩი. შედეგები ასეთია: „ჟალგირისი“-„შახტიორი“ — 0:0, „ყაირათი“-როსტოვის ასკ — 2:1. ამ შეხვედრათა შედეგებს გათამაშების ცხრილში განსაკუთრებული ცვლილებები არ შეუტანია. 41 ქულით კვლავ ლიდერობს „ზენიტი“. მომდევნო ადგილებზე არიან „დნეპრი“ და მინსკის „დინამო“ — 38-38 ქულა, „სპარტაკი“ და მოსკოვის „ტორპედო“ — 37-37, თბილისის „დინამო“ და „ჩერნომორეცი“ — 35-35, „ჟალგირისი“ — 34, „ყაირათი“ — 33, კიევის „დინამო“ — 32 ქულა და ა. შ.

ამჯერად ტაიმ-აუტი

გუშინ მოსკოვში უნდა გამართულიყო ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობაზე ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩის ოცდამესამე შეხვედრა. კასპაროვმა 24 პარტიისათვის გათვალისწინებული ბოლო, მესამე ტაიმ-აუტი აიღო.

რ. მ. კვიჟინაძე

გარდაიცვალა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგე, 1952 წლიდან სკკპ წევრი რევაზ მევლუდის ძე კვიჟინაძე.

რ. კვიჟინაძე დაიბადა 1928 წელს. 1945 წელს თბილისის ვაჟთა 11 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აქვე დაამთავრა ასპირანტურა ფილოსოფიის სპეციალობით. 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის კათედრაზე და ინფორმაციის ინსტიტუტის განყოფილების გამგედ. 1974 წელს რ. კვიჟინაძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1978 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1974 წლიდან რ. კვიჟინაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჯერ ინსტრუქტორია, შემდეგ კი მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილე.

1977 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას განაგრძობს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოსოფიის კათედრის გამგედ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. პროფესორი რ. კვიჟინაძე იყო თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის თვალსაჩინო მკვლევარი და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პოზიციებიდან იძლეოდა მის დამაჯერებელ კრიტიკას.

[illegible] ჩვენგან შესანიშნავი [illegible], პედაგოგი [illegible] კოლეგებისა და აღზრდილების [illegible].

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის კათედრა; თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

10 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — [illegible]. 10.00 — ამერა — [illegible]. 11.00 — კონცერტი. 11.20 — [illegible]. 11.30 — ფილმი — „ბავშვის „მუზა“. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმი. 16.20 — კონცერტი. 16.45 — [illegible]. 17.35 — დოკუმენტური ტელეფილმი. 18.25 — [illegible]. 18.35 — ფილმი — [illegible]. 19.45 — [illegible]. 20.00 — საბჭოთა მილიციის დღე. 20.15 — [illegible]. 20.20 — მხატვრული ფილმი [illegible]. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — კონცერტი.

მეორე პროგრამა. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.15 — ესპანური ენა. 10.45 — [illegible]. 11.35 — კონცერტი. 12.40 — დოკუმენტური ტელეფილმი. 13.20 — [illegible]. 14.20 — მხატვრული ფილმი [illegible]. 15.50 — [illegible]. 19.15 — ჩვენი ბაღი. 19.45 — [illegible]. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი [illegible]. 23.40 — [illegible].

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.30 — „მოამბე“. 10.05 — მოსწავლეებისათვის — „ჩემი კომკავშირი“. 10.35 — მხატვრული ფილმი [illegible]. 12.05 — დოკუმენტური ფილმი [illegible]. 12.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები [illegible]. 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.30 — ახალი ამბები. 15.40 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე). 15.50 — [illegible]. 16.30 — [illegible]. 16.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი [illegible]. 17.25 — მოსწავლეთათვის — კონცერტი [illegible]. 18.10 — ახალგაზრდობისათვის [illegible]. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — დღეს საბჭოთა მილიციის დღეა. 20.15 — „მოამბე“. 20.45 — [illegible]. 21.20 — [illegible]. 21.55 — [illegible]. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — [illegible]. 22.45 — მხატვრული ფილმი [illegible]. 00.10 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.40 — მხატვრული ფილმი [illegible]. 18.15 — [illegible]. 18.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი [illegible].

თეატრი

10 ნოემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური (პროფკავშირების კულტურის სასახლეში) — [illegible]; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — [illegible]; ახალგაზრდა მაყურებლის თეატრი — [illegible] (დღისით, № 9 აბონ.); [illegible] (საღამოს, № 35 აბონ.); ფილარმონია — [illegible].

წიგნის მაღაზიაში

ხოზუნის რაიონი. (საქ. კორ.). სოფელ გემისთაში გაიხსნა ხოზუნის რაიონის წიგნის მთავარი მაღაზია, სადაც მრავლად არის გამოფენილი ქართული, აფხაზური, სომხური, რუსული და სხვა წიგნები. დიდი ადგილი უკავია საბავშვო, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას.

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07486 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის [illegible] ლენინის ქ. 14, [illegible] 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20